თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების მეთოდური სარეკომენდაციო სახელმღვანელო აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის

შემუშავებულია ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის მიერ

თბილისი
2016

თავი 1

სწავლის მეთოდები

ლექცია- სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით.

ლექცია-დისკუსია ნიშნავს ლექტორის მიერ გადმოცემული ახალი თემის ახსნის პროცესში სტიდენტის აქტიურ ჩართულობას დიკსუსიის სახით ლექციის თემის განმტკიცების მიზნით.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული სავარჯიშოების საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სავარჯიშოების შესრულებისათვის შესაბამისი მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობა ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

საწარმოო პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.

სწავლების მეთოდები

- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უნვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება –** სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;
- **შემთხვევის ანალიზი (Case study) –** პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს**;**
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
- ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ბ)დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია., ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, კერძოდ:
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიებას, მომზადებას, მათ დაჯგუფებას, სისტემატიზირებას და დამუშავებას;
- **პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
- **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
- **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.
- **პროექტის შემუშავება** -პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
- **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.

უცხო ენების შემსწავლელი სპეციფიკური მეთოდები

გამორჩეულია **კომუნიკაციური მეთოდი** (**Communicative Language Teaching**) რომელიც წარმოადგენს დღესდღეობით ყველაზე პოპულარულ და ეფექტურ მეთოდს უცხო ენის შესასწავლად. კომუნიკაციური მიდგომა მიმართულია ენობრივის კომპეტენციის დახვეწაზე და თანაბრად უნვითარებს შემსწავლელს ოთხივე უნარს (საუბარი, წერა, კითხვა და მოსმენა). ძირითადი დატვირთვა აქვს ინტერაქციებს წყვილში და ჯგუფში, რომელშიც სტუდენტი აქტიურად არის ჩართული. ინტერაქციის ფარგლებში ხდება აზრების გაზიარება, კითხვა-პასუხის რეჯიმში მუშაობა, მოსაზრების განსჯა-ანალიზი, საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირება, დებატები, დიალოგი და როლური გათამაშებები. კომუნიკატირუი სწვალების დროს აქტიურად გამოიყენება შემდეგი მეთოდები, როელიც ხელს უწყობს სტუდენტის აქტრიუ ჩართულობას ჯგუფურ მუშაობაში და წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს უცხო ენის დასაუფლებალად:

როლური და სიტუაციური თამაშები -სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (The Grammar- Translation Method), რომლის მთავარი მიზანია წერითი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.

აუდიოლინგვისტური მეთოდი (Audio-lingual Method)-რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტები ისმენენ და იმეორებენ მასწავლებლის მიერ არაერთხელ განმეორებულ ჩანაწერებს.

სიტუაციური სწავლება-ზეპირი მიდგომა (Situational Language Teaching (Oral Approach). სტუდენტი განმეორების გზით იმახსოვრებს ყველაზე გამოყენებად სიტყვებს და ენობრივ კონსტრუქციებს, აქვე ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში. ძირითადი იდეები: ზეპირი მეტყველება დომინირებს წერით მეტყველებაზე, შეცდომების თავიდან აცილება ხდება თავიდანვე, ანალოგიების გამოყენება, სიტყვები იძენენ აზრობრივ დატვირთვას მხოლოდ კონტექსტში.

პირდაპირი მეთოდი (The Direct Method)-ენის სწავლება ხდება პირველივე დღიდან. მშობლიური ენის გამოყენება იკრძალება. იდეა მდგომარეობს მასალის ბუნებრივ სწავლაში.

თანმიმდევრული მეთოდი (The series method)-პირდაპირი მეთოდის ქვემეთოდს წარმოდგენს. ამ მეთოდის დროს სასწავლო ტექსტებში არის დროის თანმიმდევრობა, ხშირად გამოიყენება მოქმედების თანმიმდევრობა (მე შევდივარ სააბაზანოში, ვაღებ ონკანს, ვიხეხავ კბილებს...). მეთოდი გულისხმობს შესაწავლი მასალის დიდი რაოდენობით განმეორებას.

ჩუმი მეთოდი (Silent Way) -მასწავლებელი მეტს ისმენს, ნაკლებს საუბრობს. გამოთქმის შესწავლის მიზნით გამოიყენება ცხრილები, სადაც გამოყოფილია ბგერები. ასეთი გზით ხდება ახალი სიტყვების სწავლა.

ბუნებრივი მიდგომა (Natural Approach)-აქცენტი კეთდება იმ გარემოებაზე, რომ სტუდენტს არ შეუძლია ყველაფრის ერთდროულად ათვისება. მასალის ყოველი მომდევნო პორცია აუცილებლად ეფუძნება უკვე განვლილ მასალას და ადვილად ასათვისებელია.

ფიზიკური რეაგირების მეთოდი (Total Physical Response)-გულისხმობს სტუდენტების მიერ მასალის პასიურად ათვისებას მათი გამოყენების გარეშე, მომდევნო ეტაპზე ხდება მათი ფიზიკური რეაგირება ზოგიერთ სიტყვებზე, მაგალითად მოქმედების ზმნებზე. ორი ეტაპის გავლის შემდეგ სტუდენტები იწყებენ ენის პრაქტიკაში გამოყენებას დამოუკიდებლად.

სწავლა სწავლებით (Learning by teaching (LdL) — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება კოორდინატორად, ნაკლებად მასწავლებლად. სტუდენტები თვითონ

ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად. განიხილება როგორც კომუნიკაციური სწავლების ნაწილი.

აუდიო-ვიზუალური მეთოდი-გამოიყენება მხოლოდ უცხო ენა. ლექცია/პრაქტიკულ მეცადონეობებზე გამოიყენება

ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამახვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე.

ქართული და უცხოური (დარგობრივი) ლიტერატურის ისტორიის შემსწავლელი მეთოდები:

შემოქმედებითი აღქმის მეთოდი (შემოქმედებითი კითხვის მეთოდი), რომლის მიზანია ძლიერი და ხანგრძლივი მხატვრული შთაბეჭდილების ხელშეწყობა, რომელიც თანდათანობით ღრმავდება. ამ დროს ხდება საუბარი სტუდენტებთან წაკითხულის შთაბეჭდილების გაზიარების მიზნით; წაკითხული ნაწარმოებიდან მხატვრული, ზნეობრივი, ფილოსოფიური პრობლემის დასმა; ლექტორის სიტყვა ან საუბარი ნაწარმოების შესწავლის შემდეგ; ნაწარმოების საშინაო და სააუდიტორიო კითხვა; მხატვრული კითხვა, მხატვრული კითხვის მოსმენა; გეგმის შედგენა, ტექსტის შინაარსის თხრობა, მხატვრული მოყოლა, წერითი და ზეპირი დასკვნების გაკეთება წაკითხულზე, კრიტიკული შენიშვნების გაკეთება, ილუსტრაციების განხილვა, ლექტორის მხრიდან მხატვრული, ხატოვანი კითხვა, მწერლების კითხვა; ხატოვანი კითხვის სწავლება, კომენტირებული კითხვა.

ანალიზურ-ინტერპრეტაციური (საძიებო) მეთოდი, მისი მიზანია - ლიტერატურული ნაწარმოების სიღრმისეული შესწავლა

სინთეზური მეთოდი -ახდენს ორმაგი ასპექტის რეალიზებას:ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთობლიობა, რომლის მიზანია სწავლისადმი კომპლექსური შემოქმედებითი მიდგომის ხელშეწყობა.

ევრისტიკული მეთოდი, რომელიც გულისხმობს:

მხატრვული ნაწარმოების ტექსტის ანალიზის შესწავლას, ეპიზოდის ანალიზს, ერთმანეთთან დაკავშირებული ეპიზოდების შესწავლას, გმირების სახეების, ენის, ნაწარმოების, კომპოზიციის, სხვადასხვა ნაწარმოების შეპირისპირებას. კითხვების დასმას, ციტატების მოყვანას, გეგმის შედგენას როგორც კომპოზიციის ანალიზის მეთოდი, გმირის სახის ანალიზს, პერსონაჟთა შედარებით დახასიათებას, ნაწარმოების ანალიზის შედეგების, ნაწარმოების შედარებითი ანალიზის, დასმული პრობლემის ანალიზის კონსპექტირებას.

ჰერმენევტიკული მეთოდი-ლიტერატურათმცდმენობასა და ლინგვისტიკაში ტექსტის შიდა (დაფარული) განმარტებისა და ინტერპრეტაციის უმთავრესი მეთოდი. აქტიურად განოიყენება უცხოეთის უმაღლესი განათლების პრატქიკაში ანალიზური კითხვის ლექციებზე.

თავი 3
შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

1) სამუშაო ჯგუფში/პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტიურობა, რომლის დროს სტუდენტის სააუდიტორიო აქტივობა ფასდება ერთი კვირის განმავლობაში **1 ქულით, სულ 15 ჯერ: 15x1=15**. მოწმდება მასალის ცოდნის დონე, აქტივობის ხარისხი, დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, დიკუსიის უნარის ფლობა, კითხვების დამოუკიდებლად შედგენის უნარი, ლიტერატურის დამუშავბეის უნარი

ყოველკვირეული აქტივობის შეფასების კრიტერიუმებია:

1 ქულა: სტუდენტი კარგად არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, შესრულებული აქვს საშინაო დავალება, დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია,; ლიტერატურის დამუშავების ხარისხი მაღალია; ფლობს კამათის კულტურას. მასალის ცოდნის დონე მაღალია, აქტივობის ხარისხი მაღალი, აღინიშნება დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, გააჩნია მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, შეუძლია კითხვების დამოუკიდებლად შედგენა.

0,5 ქულა: სტუდენტი ნაკლებად აქტიურია, ფლობს სილაბუსით გათვალისწინებული მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ხშირ შემთხევაში მცდარია, ლიტერატურის დამუშავების ხარისხი დაბალია.

მასალის ცოდნის დონე საშუალოა, აქტივობის ხარისხი დამაკმაყოფილებელი, აღინიშნება დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, თუმცა აღინიშნება მცირე შცდომები, გააჩნია სუსტი მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, ლექტორის დახმარებით შეუძლია კითხვების შედგენა.

0 ქულა-სტუდენტი სრულიად მოუმზადებელია. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებული მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არსებითად მცდარია ან პასუხი შეკითხვის შესაბამისი არ არის, ლიტერატურა საერთოდ არ არის დამუშავებული, სტუდნეტი არ მონაწილეობს

დისკუსიაში, არ ფლობს კამათის კულტურას.

2) სამუშაო ჯგუფში/პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტიურობა, რომლის დროს სტუდენტის საუდიტორიო აქტივობა ფასდება ერთი კვირის განმავლობაში **2** ქულით, სულ **15** ჯერ: **15x2=30.** მოწმდება მასალის ცოდნის დონე, აქტივობის ხარისხი, დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, დიკუსიის უნარის ფლობა, კითხვების დამოუკიდებლად შედგენის უნარი, ლიტერატურის დამუშავბეის უნარი
ყოველკვირეული აქტივობის შეფასების კრიტერიუმებია:
2 ქულა: სტუდენტი კარგად არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, შესრულებული აქვს საშინაო დავალება, დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია,; ლიტერატურის დამუშავების ხარისხი მაღალია; ფლობს კამათის კულტურას. მასალის ცოდნის დონე მაღალია, აქტივობის ხარისხი მაღალი, აღინიშნება დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, გააჩნია მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, შეუძლია კითხვების დამოუკიდებლად შედგენა.
1 ქულა: სტუდენტი ნაკლებად აქტიურია, ფლობს სილაბუსით გათვალისწინებული მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ხშირ შემთხევაში მცდარია, ლიტერატურის დამუშავების ხარისხი დაბალია.
მასალის ცოდნის დონე საშუალოა, აქტივობის ხარისხი დამაკმაყოფილებელი, აღინიშნება დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, თუმცა აღინიშნება მცირე შცდომები, გააჩნია სუსტი მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, ლექტორის დახმარებით შეუძლია კითხვების შედგენა.
0 ქულა- სტუდენტი სრულიად მოუმზადებელია. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებული მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არსებითად მცდარია ან პასუხი შეკითხვის შესაბამისი არ არის, ლიტერატურა საერთოდ არ არის დამუშავებული, სტუდნეტი არ მონაწილეობს დისკუსიაში, არ ფლობს კამათის კულტურას.

3)საკონტროლო წერა/ქვიზი - მაქსიმუმ 5 ქულა
ტარდება პრაქტიკული მეცადინეობის ან/სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს, სტუდენტებს მიეწოდებათ წერითი დავალება/ქვიზი, რომელიც ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად.

ქვიზის შეფასების კრიტერიუმებია:

5 ქულა - ნაშრომი სრულყოფილად პასუხობს დავალებას, არ არის შინაარსობრივი შეცდომები; აზრი გამართულად და ლოგიკურად არის გადმოცემული;

4 ქულა - ნაშრომი კარგად არის შესრულებული, სრულყოფილად პასუხობს დავალებას, თუმცა დაშვებულია 1-3 შეცდომა; აზრი გამართულად და ლოგიკურად არის გადმოცემული;

3 ქულა - ნაშრომი საშუალო დონისაა, აზრი გასაგებია, თუმცა გადმოცემისას დაშვებულია 4-6 შეცდომა;

2 ქულა - ნაწერი სუსტია, წინადადებები სტრუქტურულად გაუმართავია, დაშვებულია 7-10 შეცდომა;

1 ქულა - დაწერილია რამდენიმე წინადადება, ლექსიკა მარტივი და შეუსაბამოა, შეცდომა დაშვებულია ყოველ წინადადებაში;

0 ქულა - დავალება არ არის შერულებული ან ნაწერი არ პასუხობს დავალებას.

4)პრეზენტაცია – 10 ქულა:

სტუდენტები სემესტრის დასაწყისში, ლექტორთან შეთანხმებით, ირჩევენ კურსის სილაბუსუსის თემატიკიდან საპრეზენტაციო თემას, სემესტრის განმავლობაში ემზადებიან და ერთ-ერთ სასწავლო კვირას წარმოადგენენ პრეზენტაციას.

საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება სრულად უნდა მოიცავდეს თემის შინაარსს და მის ანალიზს. სტუდენტებს ევალებათ პრეზენტაცია ინდივიდუალური/ჯგუფური სახით.პრეზენტაციის შეფასების შესაძლო კრიტერიუმებია:

პრეზენტაციის შეფასების შესაძლო კრიტერიუმებია:

- **ფაქტობრივი მასალის ფლობა, არგუმენტაცია - 5 ქულა;**

5 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად ფლობს მის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მასალებს; მის მიერ წარმოდგენილი დასკვნები არგუმენტირებული და გამყარებულია შესაბამისი ლიტერატურით;

4 ქულა - სტუდენტი ფლობს ფაქტობრივ მასალას, ამყარებს მას შესაბამისი ინფორმაციით, მაგრამ უშვებს მცირეოდენ უზუსტობებს;

3 ქულა - სტუდენტის მიერ წარდგენილი მასალა არგუმენტირებულია, მაგრამ აკლია სიზუსტე. სტუდენტი ვერ ფლობს სრულყოფილად მასალას;

2 ქულა - ფაქტობრივი მასალა გადმოცემულია არასრულყოფილად, აკლია არგუმენტაცია; უზუსტობებია ტერმინოლოგიაში;

1 ქულა - სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციასა და მასალას, ნაშრომი არ არის არგუმენტირებული;

0 ქულა - სტუდენტი ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას, ნაშრომში განხილული საკითხი შეუსაბამოა განსახილველი თემის.

- **ნაშრომის წარდგენა-პრეზენტაცია -3 ქულა;**

3 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად ფლობს აუდიტორიას და ტექნიკურ საშუალებებს, მეტყველებს გასაგებად და ლაკონურად, ამომწურავად და სრულყოფილად პასუხობს დასმულ კითხვებზე;

2 ქულა - სტუდენტი ფლობს აუდიტორიას, მეტყველებს გასაგებად, დასმულ კითხვებს პასუხობს ამომწურავად, მაგრამ უშვებს მცირეოდენ

უზუსტობებს;

1 ქულა - სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს აუდიტორიას, მეტყველება არ არის გამართული, აკლია თავდაჯერილობა, უშვებს შეცდომებს;

0 ქულა - სტუდენტი ვერ ფლობს აუდიტორია, მეტყველებს გაუგებრად, ვერ პასუხობს დასმულ კითხვებს.

- **ნაშრომის ტექნიკური მხარე - 2 ქულა.**

2 ქულა - ნაშრომი ტექნიკური თვალსაზრისით შესრულებული და გაფორმრბულია მაღალ დონეზე;

1 ქულა - ნაშრომი ტექნიკური თვალსაზრისით შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე; დაშვებულია მცირეოდენი ხასიათის უზუსტობები;

0 ქულა - ნაშრომი ტექნიკურად გაფორმებულია არასწორად და დაშვებულია შეცდომები.

5)პრეზენტაცია – 5 ქულა:

სტუდენტები სემესტრის დასაწყისში, ლექტორთან შეთანხმებით, ირჩევენ კურსის სილაბუსუსის თემატიკიდან საპრეზენტაციო თემას, სემესტრის განმავლობაში ემზადებიან და ერთ-ერთ სასწავლო კვირას წარმოადგენენ პრეზენტაციას.
საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება სრულად უნდა მოიცავდეს თემის შინაარსს და მის ანალიზს. სტუდენტებს ევალებათ პრეზენტაცია ინდივიდუალური/ჯგუფური სახით.პრეზენტაციის შეფასების შესაძლო კრიტერიუმებია:

პრეზენტაციის შეფასების შესაძლო კრიტერიუმებია:

- **ფაქტობრივი მასალის ფლობა, არგუმენტაცია - 2 ქულა;**

2 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად ფლობს მის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მასალებს; მის მიერ წარმოდგენილი დასკვნები არგუმენტირებული და გამყარებულია შესაბამისი ლიტერატურით;

1,5 ქულა - სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციასა და მასალას, ნაშრომი არ არის არგუმენტირებული;

0 ქულა - სტუდენტი ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას, ნაშრომში განხილული საკითხი შეუსაბამოა განსახილველი თემის.

- **ნაშრომის წარდგენა-პრეზენტაცია -2 ქულა;**

2 ქულა - სტუდენტი სრულყოფილად ფლობს აუდიტორიას და ტექნიკურ საშუალებებს, მეტყველებს გასაგებად და ლაკონურად, ამომწურავად და სრულყოფილად პასუხობს დასმულ კითხვბზე;

1,5 ქულა - სტუდენტი ფლობს აუდიტორიას, მეტყველებს გასაგებად, დასმულ კითხვებს პასუხობს ამომწურავად, მაგრამ უშვებს მცირეოდენ უზუსტობებს;

1 ქულა - სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს აუდიტორიას, მეტყველება არ არის გამართული, აკლია თავდაჯერილობა, უშვებს შეცდომებს;

0 ქულა - სტუდენტი ვერ ფლობს აუდიტორია, მეტყველებს გაუგებრად, ვერ პასუხობს დასმულ კითხვებს.

- **ნაშრომის ტექნიკური მხარე - 1 ქულა.**

1 ქულა - ნაშრომი ტექნიკური თვალსაზრისით შესრულებული და გაფორმრბულია მაღალ დონეზე;

0,5 ქულა - ნაშრომი ტექნიკური თვალსაზრისით შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე; დაშვებულია მცირეოდენი ხასიათის უზუსტობები;

0 ქულა - ნაშრომი ტექნიკურად გაფორმებულია არასწორად და დაშვებულია შეცდომები.

6) ქეისი (CASE STUDY) - მაქსიმუმ 5 ქულა

სემესტრის განმავლობაში ტარდება ერთხელ: 5X1=5, პრაქტიკული მეცადინეობის ან/სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს, სტუდენტებს მიეწოდებათ დავალება/ქეისი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად.

ქეისის განხილვა

5-4 ქულა - აღინიშნება ტერმინოლოგიის სრულფასოვანი ცოდნა, დასახული ქეისის/ამოცანის სრულფასოვანი აღქმა/გაგება, მოცემულია ყველა ალტერნატიული

აზრის ზუსტი და სწორი ანალიზი, პასუხები დასახულ ამოცანაზე კარგად არგუმენტირებულია, მკაფიოდ ჩამოყალიბებულია და ლოგიკურადაა აგებული.

3-2 ქულა აღინინება ტერმინოლოგიის კარგი ფლობა, დასახული ქეისის/ამოცანის კარგი აღქმა/გაგება, ალტერნატიული აზრების ანალიზი გაკეთებულია მცირეოდენი შეცდომებით, პასუხები დასახულ ამოცანებზე მიღებულია, მაგრამ არგუმენტაცია აკლია, პასუხის გარკევული ნაწილი სტრუქტურირებულია და ლოგიკურად არის აგებული.

1 ქულა - აღინიშნება ტერმინოლოგიის სუსტი ფლობა, დასახული ქეისის/ამოცანის არასწორი გაგება/აღქმა ან სრული გაურკვევლობა, ალტერანტიული აზრების ანალიზის არარსებობა, პასუხი დასახულ ამოცანებზე არ არის გაცემული, გადმოცემულ აზრს არგუმნეტაცია აკლია, , საკუთარი პოზიცია არ გააჩნია, პასუხი არ არის სტურქტურირებული, ლოგიკური ბმა არ არსებობს.

0-ქულა - ქეისი არ არის განხილული, ანალიზი არ არის გაკეთებული.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების სხვადასხვა მეთოდები
წერითი დავალებები

ა) სტუდენტს მიეცემა **ღია ტესტი** 3-4 სავარაუდო პასუხით, სადაც მხოლოდ ერთი პასუხია სწორი და ის ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით.
მაგალითად, 20 ღია ტესტური დავალება, 20X1=20 ქულა, მაგალითად, 30 ღია ტესტური დავალება, 30X1=30 ქულა,

ბ) **დახურული კითხვა:** სტუდენტს ეძლევა ბილეთი, სადაც მოცემულია 1-2-3 (ლექტორის არჩევით) საკითხი პროგრამული მასალიდან **წერითი ფორმით.** ერთი საკითხი პროგრამული მასალიდან ფასდება 5 ქულით.

5 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, კარგად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ლიტერატურა, ავლენს ანალიზისა და განზოგადების კარგ უნარს.
4 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი

კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა, ავლენს ანალიზისა და განზოგადების უნარს.

3 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია არასრულყოფილია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები, სუსტია მის მიერ წარმოდგენილი საკითხის ანალიზი.

2 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია და არაზუსტი; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. არასაკმარისი თეორიული მომზადების გამო სტუდნეტს უჭირს მასალის პრაქტიკული მასალის გაანალიზება და მართებული დასკვნების გამოტანა.

1 ქულა: პასუხი არ არის სრულყოფილი; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. სტუდენტი ვერ ახერხებს პრაქტიკული მასალის გაანალიზებას.

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ იცის მოცემული საკითხი.

ბ) **დახურული კითხვა:** სტუდენტს ეძლევა ბილეთი, სადაც მოცემულია 1-2-3 (ლექტორის არჩევით) საკითხი პროგრამული მასალიდან **ზეპირი ფორმით.** ერთი საკითხი პროგრამული მასალიდან ფასდება 5 ქულით.

შეფასების კრიტერიუმებია:

5 ქულა: საკითხი გაშუქებულია სრულყოფილად; სტუდენტი ზედმიწევნით ამჟღავნებს დამოუკიდებელი მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარს; აქვს მასალის კომპაქტურად გადმოცემის უნარი.სტუდენტს კარგად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.

4 ქულა: საკითხი სრულადაა გაშუქებული. სტუდენტი ზედმიწევნით ამჟღავნებს დამოუკიდებელი მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარს, უშვებს უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს. სტუდენტს აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.

3 ქულა: საკითხი არაა სრულყოფილად გაშუქებული, არის ფაქტობრივი უზუსტობები; სტუდენტის დამოუკიდებელი მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარი დამაკმაყოფილებელია. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.

2 ქულა: სტუდენტი ფრაგმენტულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არის ბევრი ფაქტობრივი უზუსტობა; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. დასკვნებს ვერ აყალიბებს. სტუდენტს საერთოდ არ აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.

1 ქულა: სტუდენტი, ფაქტობრივად, ვერ ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; უშვებს არსებით შეცდომებს. დასკვნები არა აქვს. პროგრამულ მასალას ვერ გადმოსცემს.

0 ქულა - საკითხის ზეპირად გადმოცემა არ შეუძლია.

ლიტერატურის საკითხების შეფასება

ლიტერატურული მიმდინარეობის ანალიზი- (10 ქულა);

10 - 9 ქულა - პასუხი სწორი და ამომწურავია, ლიტერატურის-ტერმინოლოგია დაცულია. საფუძვლიანად იცნობს, მოცემული მიმდინარეობას მის ესთეტიკას და წარმომადგენლებს.

8 – 7 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ შეკვეცილი. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული, არსებითი შეცდომა არ არის, სტუდენტი კარგად ფლობს მოცემულ მიმდინარეობას.

6 – 5 ქულა-პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, დარგის-ტერმინოლოგია ნაკლოვანია, სტუდენტი ფლობს მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი უზუსტობანი.

4 – 3 ქულა-პასუხი არასრულია, ლიტერატურული მიმდინარეობის საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ, სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა

2 – 1 ქულა-პასუხი ნაკლოვანია, პასუხი არ არის შესაბამისი, სათანადოდ არ იცნობს მოცემული მიმდინარეობის ესთეტიკა და წარმომადგენლებს, იცის, მხოლოდ მოცემული მასალის ფრაგმენტები.

0 - ქულა-პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

მოცემული ეპოქის მწერლის შემოქმედების ანალიზი (10)
ქულა

10 - 9 ქულა - პასუხი სწორი და ამომწურავია, ლიტერატურის-ტერმინოლოგია დაცულია. საფუძვლიანად იცნობს, მოცემულ მწერალს და მის ესთეტიკას და შემოქმედებას.

8 – 7 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ შეკვეცილი. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული, არსებითი შეცდომა არ არის, სტუდენტი კარგად ფლობს მოცემული მწერლის შემოქმედებას.

6 – 5 ქულა-პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, სტუდენტი ფლობს ინფორმაციას მწერლის შემოქმედებაზე, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი უზუსტობანი.

4 – 3 ქულა-პასუხი არასრულია, მწერლის შემოქმედების ანალიზი გადმოცემულია ნაწილობრივ, სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა

2 – 1 ქულა-პასუხი ნაკლოვანია, პასუხი არ არის შესაბამისი, სათანადოდ არ იცნობს მწერლის შემოქმედებას, იცის, მოცემული მასალის ფრაგმენტები.

0 - ქულა-პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

კონკრეტული ნაწარმოების ანალიზი (ზეპირად)(10 ქულა

10 - 9 ქულა - პასუხი სწორი და ამომწურავია, ლიტერატურის-ტერმინოლოგია დაცულია. საფუძვლიანად იცნობს, მოცემულ ნაწარმოებს. შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ძირითადი თემისა და იდეის განსაზღვრა, პერსონაჟთა სახეების ანალიზი. მართებულად მსჯელობს მწერლის მიერ გამოყენებულ პოეტოლოგიური საშუალებებზე, მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში.

8 – 7 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ შეკვეცილი. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული, არსებითი შეცდომა არ არის, სტუდენტი კარგად იცნობს, მოცემულ ნაწარმოებს. შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ძირითადი თემისა და იდეის განსაზღვრა, პერსონაჟთა სახეების ანალიზი. მსჯელობს მწერლის მიერ გამოყენებულ პოეტოლოგიური საშუალებებზე, მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში.

6 – 5 ქულა-პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, დარგის-ტერმინოლოგია ნაკლოვანია, სტუდენტი ფლობს მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი უზუსტობანი.

4 – 3 ქულა-პასუხი არასრულია, შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ, სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა

2 – 1 ქულა-პასუხი ნაკლოვანია, პასუხი არ არის შესაბამისი, სათანადოდ არ იცნობს მოცემულ ნაწარმოებს. იცის, მხოლოდ მოცემული მასალის ფრაგმენტები.

0- ქულა-პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის, ან საერთოდ არაა მოცემული.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედურ (სემესტრულ) შეფასებებში მინიმუმ 11 ქულის დაგროვება.

დასკვნითი გამოცდა 0- 40 ქულა;

დასკვნითი გამოცდა (წერითი) – 40 ქულა (დასკვნითი გამოცდაზე სტუდენტებს მიეცემა 20 ღია ტესტი 3 სავარაუდო პასუხით, სადაც მხოლოდ ერთი პასუხია სწორი და ის ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით. ამის გარდა სტუდენტს ეძლევა 4 საკითხი პროგრამული მასალიდან. ერთი საკითხი ფასდება 5 – ქულით). 5X4=20.

შეფასების კრიტერიუმებია:

5 ქულა: სრულყოფილად იცის თეორიული მასალა, პრობლემა გაცნობიერებული აქვს კონცეპტუალურ ასპექტში, აკეთებს კომპლექსური მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, შეუძლია პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის მოძიება, კვლევის მეთოდის ჩამოყალიბება და დასკვნის რეკომენდაციის ფორმით არგუმენტირებულად დასაბუთება.

4 ქულა: სრულყოფილად იცის თეორიული მასალა, პრობლემა გაცნობიერებული აქვს კონცეპტუალურ ასპექტში, აკეთებს კომპლექსური მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, შეუძლია პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის მოძიება, ვერ აკეთებს კვლევის მეთოდის ჩამოყალიბებას და დასკვნის არგუმენტირებულად დასაბუთებას.

3 ქულა: იცის თეორიული მასალა, პრობლემა გაცნობიერებული აქვს კონცეპტუალურ ასპექტში, აკეთებს კომპლექსური მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, არ შეუძლია პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის მოძიება, ვერ აკეთებს კვლევის მეთოდის ჩამოყალიბებას და დასკვნის არგუმენტირებულად დასაბუთებას.

2 ქულა: თეორიული მასალა არ იცის სრულად, პრობლემა გაცნობიერებული აქვს კონცეპტუალურ ასპექტში, ვერ აკეთებს კომპლექსური მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, არ შეუძლია პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის მოძიება, ვერ აკეთებს კვლევის მეთოდის ჩამოყალიბებას და დასკვნის არგუმენტირებულად დასაბუთებას.

1 ქულა: თეორიული მასალა იცის სუსტად, პრობლემა არა აქვს გაცნობიერებული კონცეპტუალურ ასპექტში, ვერ აკეთებს კომპლექსური მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, არ შეუძლია პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის მოძიება, ვერ აკეთებს კვლევის მეთოდის ჩამოყალიბებას და დასკვნის არგუმენტირებულად დასაბუთებას.

0 ქულა: არ იცის თეორიული მასალა, პრობლემა არა აქვს გაცნობიერებული კონცეპტუალურ ასპექტში, ვერ აკეთებს კომპლექსური მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, არ შეუძლია პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზის მოძიება, ვერ აკეთებს კვლევის მეთოდის ჩამოყალიბებას და დასკვნის არგუმენტირებულად დასაბუთებას.

ესეს შესრულება -10 ქულა

ესეს შეფასების კრიტერიუმები:

- **ა) მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირებადაციტირება)- მაქსიმუმ 4 ქულა**

- მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით - **4 ქულა.**
- მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა, ნაწილობრივ-არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა - **3 ქულა.**
- საკითხი ან ტექსტი არაადეკვატურად არის გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არადეკვატურად არის მოხმობილი **- 2-1 ქულა.**
- ტექსტი დასაბუთების, არგუმენტირების და ციტირების გარეშეა - **0 ქულა.**

ბ) ლექსიკა და სტილი - 3 ქულა

- აზრი მკაფიოდ და ზუსტად არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია - **3 ქულა.**
- აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები - **2 ქულა.**
- აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა - **1 ქულა.**
- აზრი ბუნდოვანია და ლექსიკა არაადეკვატური - **0 ქულა.**

გ) ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია - 3 ქულა

- ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური ტიპის შეცდომები არ აღინიშნება - **3 ქულა.**
- ორთოგრაფიული-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური ტიპის მცირედი შეცდომები აღინიშნება - **2 ქულა.**
- ორთოგრაფიული-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური ტიპის შეცდომები აღინიშნება და 5 ზე მეტია - **1 ქულა.**
- მთლიან ტექსტში შეცდომებია - **0 ქულა.**

ესეს შესრულება -5 ქულა
ესეს შეფასების კრიტერიუმები:

- **ა) მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირებადაციტირება)- მაქსიმუმ 2 ქულა**
- მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით - **2 ქულა.**
- მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა, ნაწილობრივ-არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა - **1 ქულა.**
- საკითხი ან ტექსტი არაადეკვატურად არის გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არადეკვატურად არის მოხმობილი **- 0,5 ქულა.**
- ტექსტი დასაბუთების, არგუმენტირების და ციტირების გარეშეა - **0 ქულა.**

ბ) ლექსიკა და სტილი - 2 ქულა

- აზრი მკაფიოდ და ზუსტად არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია - **2 ქულა.**
- აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები - **1 ქულა.**
- აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა - **0,5 ქულა.**
- აზრი ბუნდოვანია და ლექსიკა არაადეკვატური - **0 ქულა.**

გ) ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია - 1 ქულა

- ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური ტიპის შეცდომები არ აღინიშნება - **1 ქულა.**
- ორთოგრაფიული-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური ტიპის მცირედი შეცდომები აღინიშნება - **0,5 ქულა.**
- მთლიან ტექსტში შეცდომებია - **0 ქულა.**

უცხო ენების შეფასება

გამოცდაზე მოწმდება სტუდენტის ენის, ლექსიკა-გრამატიკის და 4-ვე სამეტყველო კომპეტენციის ფლობის დონე **(ლექსიკა-გრამატიკა - 8, საუბარი-8 ქულა, აუდირება -8 ქულა, კითხვა - 8 ქულა, წერა -8 ქულა)**

სულ-40 ქულა

ამ კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებია:

ა)ლექსიკა-გრამატიკა - მაქსიმალური შეფასება - 8 ქულა (8 წინადადება. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი-0 ქულით).

შენიშვნა: თითოეულ ტესტურ დავალებაში მოცემულია პასუხის რამდენიმე ვარიანტი და მხოლოდ ერთი პასუხი არის სწორი.

ბ)საუბარი –-მაქსიმალური შეფასება - 8 ქულა

ამ ტესტის შესრულებისთვის სტუდენტს ეძლევა 2 დავალება.

1)მოცემულია თემა/სიტუაცია და სტუდენტმა უნდა მოკლე დროში ისაუბროს ამ თემა/სიტუაციის გარშემო - (15-20 ფრაზა). მაქსიმალური შეფასება - 4 ქულა.

2) დავალება უნდა შესრულდეს წინასწარი მომზადების გარეშე და სტუდენტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა დიალოგში პედაგოგთან ერთად, ჩაერთოს დისკუსიაში და მოახდინოს სწორი რეაგირება პედაგოგის მიერ დასმულ კითხვებზე/რეპლიკებზე. ამ დავალებისთვის მაქსიმალური ქულაა-4.

ორივე დავალების შეფასების კრიტერიუმებია:

4 ქულა: სტუდენტი კარგად და ლოგიკურად მეტყველებს, მისი საუბარი დასმული სამეტყველო ამოცანის ადეკვატურია; დავალება სრულყოფილადაა შესრულებული,

ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და არგუმენტირებულია; არ უშვებს გრამატიკულ და ლექსიკურ შეცდომებს, თავისუფლად მეტყველებს რუსული ენის შესაბამისის დონეზე.

3 ქულა: სტუდენტი მეტყველებს ლოგიკურად, დავალება შესრულებულია, საუბარი დასმული სამეტყველო ამოცანის ადეკვატურია; მაგრამ აქვს მცირეოდენი შეცდომები, უშვებს მცირეოდენ გრამატიკულ და ლექსიკურ შეცდომებს; მეტყველებს რუსულ ენაზე, თუმცა უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს.

2–1 ქულა: სტუდენტი ნაწილობრივ მომზადებულია, ნაწილობრივ ფლობს მასალას, შესრულებული აქვს დავალება, მაგრამ აქვს შეცდომები, უშვებს გრამატიკულ და ლექსიკურ შეცდომებს; ახერხებს საუბარს, მაგრამ იყენებს უმარტივეს სინტაქსურ კონსტრუქციებს.

0 ქულა: სტუდენტი სრულიად მოუმზადებელია/არ არის ამოცანის ადეკვატური. არ ფლობს მასალას, ვერ ახერხებს მეტყველებას რუსული ენის ცოდნის შესაბამის დონეზე.

გ) აუდირება - მაქსიმალური შეფასება -8 ქულა

ამ ტესტის შესრულებისთვის სტუდენტს ეძლევა 1 აუდიოტექსტი (მონოლოგი ან დიალოგი) მოსასმენად, რომელიც უნდა მოისმინოს მხოლოდ ერთხელ, ტექსტის მოსმენის შემდეგ სტუდენტს ეძლევა დავალება მოსმენილი აუდიოტექსტის შინაარსიდან გამომდინარე აირჩიოს სწორი პასუხი ან დაასრულოს წინადადება ან მიუთითოს ინფორმაციის სისწორე. აუდიო ტექსტი ფასდება 8 ქულით, სულ მოცემული იქნება 8 კითხვა და სავარაუდო პასუხები, თითოეული სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი-0 ქულით

დ) კითხვა - მაქსიმალური შეფასება -8 ქულა

სტუდენტს ეძლევა უცნობი ტექსტი, რომელსაც უნდა გაეცნოს სტუდენტი და ტექსტის მერე მოცემულია 8 ტესტური დავალება, სადაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს ტექსტის შინაარსის შესაბამისი სწორი ვარიანტი. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი-0 ქულით.

ე)წერა - მაქსიმალური შეფასება - 8 ქულა

სტუდენტს ეძლევა 1 დავალება: მოცემულია სიტუაცია/თემა და სტუდენტმა უნდა დაწეროს წერილი, ან თხზულება ან ესე, რუსული ენის შესწავლის შესაბამის დონის.

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები:

- **ა)შინაარსობრივი მხარე: მსჯელობის დასაბუთება, არგუმენტირება- 3 ქულა**
- მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით - 3 ქულა.
- მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა, ნაწილობრივ-არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა - 2-1 ქულა.

- საკითხი ან ტექსტი არაადეკვატურად არის გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არადეკვატურად არის მოხმობილი ან ტექსტი დასაბუთების, არგუმენტირების და ციტირების გარეშეა - 0 ქულა.

ბ) ლექსიკური და სტილისტური გამართულობა- 3 ქულა

- ლექსიკა მდიდარია, ნაწერი სტილისტურად გამართულია - 3 ქულა.
- აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები - 2-1 ქულა.
- აზრი ბუნდოვანია და ლექსიკა არაადეკვატური - 0 ქულა.

გ) ტექსტის გრამატიკული გამართულობა - 2 ქულა

- დავალება შესრულებულია ორთოგრაფიული,მორფოლოგიური,სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომების გარეშე - 2 ქულა.
- დავალებაში ხვდება უმნიშვნელო ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომები - 1 ქულა.
- მთლიან ტექსტში შეცდომებია - 0 ქულა.

- **ერთი არგუმენტირებული ესეს შესრულება-10 ქულა**
  არგუმენტირებული ესეს შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ნაშრომის სტრუქტურა (N1), მაქსიმუმ 2 ქულა:

2 ქულა
ნაშრომი სანიმუშოდაა ორგანიზებული. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და ეფექტურადაა გამოყენებული.

1 ქულა
ნაშრომი კარგად ორგანიზებულია. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და უმეტესად ეფექტურადაა გამოყენებული.

0,5 ქულა
ორგანიზების მცდელობა. ან ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა, მაგრამ არ არის ეფექტურად გამოყენებული, ან ერთ-ერთი ელემენტი აკლია.

0 ქულა
არაორგანიზებული. არაერთი სტრუქტურული ელემენტი აკლია.

პარაგრაფების განვითარება და ლოგიკა (N2)
მაქსიმუმ 2 ქულა:

2 ქულა
პარაგრაფები სანიმუშოდ განვითარებული და ლოგიკურია.

1 ქულა
პარაგრაფები კარგადაა განვითარებული და ლოგიკურია, მაგრამ პერიოდულად აკლია საჭირო დეტალი.

0,5 ქულა
პარაგრაფების განვითარების მცდელობა, მაგრამ ხშირად აკლია საჭირო დეტალი და ნაკლებ ლოგიკურია.

0 ქულა
პარაგრაფები არ არის განვითარებული. ნაშრომი სავსეა ინდივიდუალური, დაუკავშირებელი წინადადებებით.

სტილი და ენა (N3)
მაქსიმუმ 2 ქულა:
2 ქულა
სანიმუშოდაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. მიღწეულია პროფესიული ტონი. გრამატიკა და პუნქტუაცია უშეცდომოა. გამოყენებული ლიტერატურა სრულად და სწორადაა მითითებული.
1 ქულა
კარგადაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. ძირითადად მიღწეულია პროფესიული ტონი. უმნიშვნელო შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა სრულად და სწორადაა მითითებული.
0,5 ქულა
მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ფორმალური წერილობითი ენა. აკლია პროფესიული ტონი. გარკვეული შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა სრულადაა მითითებული, მაგრამ გარკვეული ხარვეზებით.
0 0 ქულა
არ არის გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. არ არის მიღწეული პროფესიული ტონი. ბევრი შეცდომა გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა არასრულად და არასწორადაა მითითებული.

საკუთარი არგუმენტების დასაბუთება (N4)
მაქსიმუმ 2 ქულა:
2 ქულა
ავტორის არგუმენტები ძლიერია და დამაჯერებლადაა დასაბუთებული.
1 ქულა
ავტორის არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებელია და კარგადაა დასაბუთებული.
0,5 **ქულა**
ავტორის არგუმენტები დამაჯერებელია, მაგრამ აკლია დასაბუთება.
0 ქულა
ავტორის არგუმენტები ნაკლებ დამაჯერებელია და არ არის დასაბუთებული

კონტრარგუმენტების გათვალისწინება და უკუგდება (N5)
მაქსიმუმ 2 ქულა:
2 ქულა
კონტრარგუმენტები გათვალისწინებული და წარმატებით უკუგდებულია.
1 ქულა
კონტრარგუმენტები გათვალისწინებული და უმეტესად უკუგდებულია.
0,5 ქულა
კონტრარგუმენტების გათვალისწინების მცდელობა, თუმცა ისინი ნაკლებადააუკუგდებული.
0 ქულა
კონტრარგუმენტები არ არის გათვალისწინებული და უკუგდებული.

ბ) ანალიტიკური რეფერატის შესრულებას -0-15 ქულა, მაგისტრანტს ეძლევა რეფერატის თემა და მან მე-11 კვირას უნდა წარმოადგინოს რეფერატი.
ანალიტიკური რეფერატის შეფასების კრიტერიუმები
ა)ძირითადი საკითხების იდენტიფიკაცია და კონტექსტუალიზაცია
0 -3 ქულა
3 ქულა-ავტორი ავლენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების სანიმუშო უნარს.
2 ქულა- ავტორი ახდენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციას და ცდილობს მათ დაკავშირებას ფართო კონტექსტთან.
1 ქულა-ვტორი ცდილობს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციას,
მაგრამ ყველა მათგანი არ არის გამოყოფილი. მათი ფართო კონტექსტთან დაკავშირების წარუმატებელი მცდელობა.
0 ქულა- ავტორი ვერ ახდენს ძირითადი საკითხების იდენტიფიკაციასა და კონტექსტუალიზაციას.

ბ) პოზიცია, ანალიზი, შეფასება 0 -3 ქულა

3 ქულა-სანიმუშო შედარებითი ანალიზი. ავტორი ახდენს სტატიათა
ავტორების პოზიციების დიფერენციაციასა და შეფასებას, იმავდროულად გვთავაზობს რა მის კარგად დასაბუთებულ პოზიციას.
2 ქულა- ავტორი ახდენს სტატიათა ავტორების პოზიციების სათანადო დიფერენციაციასა და შედარებით ანალიზს, მაგრამ მისი პოზიცია არ არის ნათლად დასაბუთებული.
1 ქულა-შედარებითი ანალიზისა და სტატიების ავტორთა
პოზიციების შეფასების მცდელობა, მაგრამ ძირითად არგუმენტებს აკლია დასაბუთება და ამიტომ ავტორის პოზიცია უფრო ბუნდოვანია.
0 ქულა- ავტორი არ ახდენს შედარებით ანალიზსა და სტატიების ავტორთა პოზიციების შეფასებას, მისი პოზიციაც არ არის ჩამოყალიბებული.

გ)ნაშრომის სტრუქტურა-0 -3 ქულა

3 ქულა-ნაშრომი სანიმუშოდაა ორგანიზებული. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და ეფექტურადაა გამოყენებული.
2 ქულა- ნაშრომი კარგად ორგანიზებულია. ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა და უმეტესად ეფექტურადაა გამოყენებული.
1 ქულა-ორგანიზების მცდელობა. ან ყველა სტრუქტურული ელემენტი სახეზეა, მაგრამ არ არის ეფექტურად გამოყენებული, ან ერთ-ერთი ელემენტი აკლია.
0 ქულა- არაორგანიზებული. არაერთი სტრუქტურული ელემენტი აკლია.

დ) პარაგრაფების განვითარება და ლოგიკა-0 -3 ქულა
3 ქულა- პარაგრაფები სანიმუშაოდ არის განვითარებული და ლოგიკურია
2 ქულა-პარაგრაფები კარგად არის განვითარებული და ლოგიკურია, მაგრამ პერიდულად აკლია საჭირო დეტალი.
1 ქულა-პარაგრაფების განვითარების მცდელობა, მაგრამ ხშირად აკლია საჭირო დეტალი და ნაკლებ ლოგიკურია
0 ქულა-პარაგრაფები არ არის განვითარებული, ნაშრომი სავსეა ინდივიდუალური, დაუკავშირებელი წინადადებებით.

ე) სტილი და ენა-0 -3 ქულა

3 ქულა-სანიმუშოდაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. მიღწეულია პროფესიული ტონი. გრამატიკა და პუნქტუაცია უშეცდომოა. გამოყენებული ლიტერატურა სრულად და სწორადაა მითითებული.
2 ქულა- კარგადაა გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. ძირითადად მიღწეულია პროფესიული ტონი. უმნიშვნელო შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა სრულად დასწორადაა მითითებული.
1 ქულა-მეტ-ნაკლებად გამოყენებულია ფორმალური წერილობითი ენა. აკლია პროფესიული ტონი. გარკვეული შეცდომები გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა სრულადაა მითითებული, მაგრამ გარკვეული ხარვეზებით.
0 ქულა- არ არის გამოყენებული ფორმალური წერილობითი ენა. არ არის მიღწეული პროფესიული ტონი. ბევრი შეცდომა გრამატიკასა და პუნქტუაციაში. გამოყენებული ლიტერატურა არასრულად და არასწორადაა მითითებული.

p/s შეგიძლიათ ასევე თვენი ვარიანტებიც დაამატოთ.

მადლობა, გისურვებთ წარმატებებს!